**საქართველო**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია**

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/13

12 12 2016 წ.

ა. ბოხოჩაძე
12.12.2016წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ *გიორგი ბერიძეს*

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $81^1$ მუხლის შესაბამისად, განიხილა წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი და მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ“;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნას;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 12 დეკემბრის №3 სხდომის ოქმის ამონაწერს.

გთხოვთ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე [signature] ნინო ჩხეტია

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოსვლის 09-01-14/138
12 12 2016წ
ფურცელი 4

09-01-08/08
12 12 2016
4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების
09-02-11/3202
1 3
12 12 6

პროექტი

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს

# დადგენილება

## წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის $81^1$ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებიდან განხილვის პროცედურის გაგრძელება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ინიცირებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (№02-09-15/452, 31.10.2016).
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბაქვი,
2016 წლის
№

ნ. Rbgრდ.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/13

12 12 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

## საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

## დ ა ს კ ვ ნ ა

## წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 81[1] მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 12 დეკემბრის სხდომაზე განიხილა წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი.

კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის წერილის (№09-02-11/3187, 09.12.2016) გათვალისწინებით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94[1] მუხლის შესაბამისად, კომისიამ მოამზადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ" და მხარი დაუჭირა უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე მის მიღებას.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია

# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 12 დეკემბრის №3 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ".
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე [signature] ნინო ჩხეტია